მესაკუთრის თანხმობა/ მინდობილობა

შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენტ“ (ს/ნ 402187450), როგორც ალ. ყაზბეგის N15 -ში მდებარე, N01.10.14.010.030.01.03.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის („დ“ ბლოკში მდებარე კომერციული ფართი, 272.59 კვ. მ) მესაკუთრე, წინამდებარე დოკუმენტით გასცემს თანხმობას გათბობა-გაგრილების გარე აგრეგატების განთავსება მოხდეს კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართის გარე პერიმეტრზე, რისთვისაც შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენტ“ (ს/ნ 402187450) ავთანდილ მახარობლიშვილს (პ/ნ 01008018073) ანიჭებს უფლებამოსილებას წარმოადგინოს კომპანია ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათ შორის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, რათა წინამდებარე დოკუმენტში მითითებული შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი მონტაჟის მიზნით ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებებს/განაცხადებს ნებართვაში ცვლილებების შეტანის ან/და წერილობითი დასტურის (მარტივი და დეტალური შეტყობინება) გაცემის თაობაზე განცხადებას, რა მიზნებითაც უფლებამოსილია შეიტანოს, წარადგინოს/ატვირთოს (მათ შორის - ელექტრონულად) როგორც მესაკუთრემ, დამკვეთმა ან/და განმცხადებელმა, ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში ყველა სახის განცხადება, განაცხადი, დოკუმენტაცია; ჩაიბაროს/გამოიტანოს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამ დოკუმენტით მინიჭებული უფლებამოსილება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე.

შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენტ“ (ს/ნ 402187450)

დირექტორი

გიორგი ჩხეიძე (პ/ნ 01017000038) გიორგი ჩხეიძე

26/08/2021

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210913322
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.08.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით ჩალათაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, სანაპიროს 2ა, #1**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**599336099**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**38365588828121**

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაექვს აგვისტოს, მე, დავით ჩალათაშვილს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, მომმართა, გიორგი ჩხეიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მესაკუთრის თანხმობაზე/მინდობილობაზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: გიორგი ჩხეიძემ (დაბ.: 07 ოქტომბერი 1970, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N 171 ბ. 1, პირადი #01017000038, პ/მ სერია 17IA17378). აღნიშნული მომენტისთვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. გადახდილია სახელმწიფო: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 6.0 (ექვსი) ლარი, დღგ 1.08 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 9.08 (ცხრა და 08) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეტანის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18